ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ქცევის კოდექსის, ეთიკის და ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირების ფორმა
(ივსება ყოველწლიურად)

მე _____ (სახელი, გვარი), პირობას ვდებ დავიცვა საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ქცევის კოდექსის, ეთიკის და ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა. ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვაცნობიერებ საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ქცევის კოდექსის, ეთიკის და ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკას.
ვადასტურებ, რომ დავიცავ საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ქცევის კოდექსის, ეთიკის და ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკას, რომელიც მოითხოვს, რომ ინტერესთა კონფლიქტის ან პოტენციური კონფლიქტის შესახებ კონკრეტულ საკითხზე, ვაცნობო ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს, განვახორციელო ქსს-თან დაკავშირებული საქმიანობა, პოლიტიკის მიერ განსაზღვრული ეთიკური სტანდარტების ფარგლებში, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში ნებაყოფლობით განვაცხადებ უარს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს განხილვებში მონაწილეობაზე და ხმის მიცემაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

როგორც ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, ალტერნატიული წევრი, ან სხვა დაინტერესებული მხარე, არ განვიხილავ, მხარს არ დავუჭერ ან ხმას არ მივცემ ისეთ საკითხს, რომელშიც მაქვს ინტერესთა კონფლიქტი, პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი ან ნებისმიერი ინტერესი, რომელიც შესაძლოა დასაბუთებულად წინააღმდეგობაში მოვიდეს სამართლიანობის კონცეფციასთან გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებულ პროგრამებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას.

ვადასტურებ, რომ ინტერესთა კონფლიქტი ან პოტენციური კონფლიქტი წარმოიშვება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) პირდაპირ ან არაპირდაპირ მაქვს პირადი, ფულადი ან სხვა ინტერესი; და/ან

ბ) ორგანიზაციას, რომელსაც მე წარმოვადგენ, შესაძლოა ჰქონდეს ფინანსური, ადმინისტრაციული ან პროგრამული ინტერესი ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოში განხილვის პროცესში არსებულ ქმედებებსა ან საკითხებში.

ვაცნობიერებ, რომ ვალდებული ვარ დავაყენო ინტერესთა კონფლიქტის (რომლის შესახებ შესაძლოა ინფორმირებული ვიყო) საკითხი ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სხვა წევრებს ან განმახორციელებელ ორგანიზაციებთან მიმართებაში, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს რეპუტაციის დაცვის, ასევე ამ უკანასკნელის მიერ ეთიკური სტანდარტების დაცვის და საქმიანობის დაბალანსებული და გამჭვირვალე ფორმით წარმოების უზრუნველყოფის მიზნით.

ზემოთ მითითებული პრინციპების და ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკაში მითითებული პრინციპების დაცვით, ვაცხადებ შემდეგს: მიმდინარე წლის განმავლობაში: *(მონიშნეთ შესაბამისი პუნქტი)*

- ☐ არ მაქვს არანაირი მოსალოდნელი ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც ეხება საქართველოში გლობალური ფონდის გრანტებთან დაკავშირებულ ოპერაციებს და ფუნქციებს.

- ☐ მაქვს ინტერესთა კონფლიქტი. (გთხოვთ შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი.)

ქსს-ს წევრის სახელი, გვარი: _____

ხელმოწერა: _____

წარმომადგენლობა: _____

თარიღი: _____

გთხოვთ შეავსოთ ქვემოთ მოცემული ცხრილი, თუ თქვენ ახდენთ ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირებას

ინტერესთა კონფლიქტის სახე

ორგანიზაცია (დასახელება, მისამართი)	ორგანიზაციის ტიპი	ინტერესთა კონფლიქტის სახე